



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 186

2013 წლის 24 დეკემბერი

ქალაქი ხაშური



დაბა სურამში ნინოშვილის ქ. N21-ში ნათელა დავითიანის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის ხაშურის მუნიციპალიტეტისათვის აღნაგობის უფლებით გადაცემაზე ხელშეკრულების გაფორმების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, 2013 წლის 21 ნოემბრის ინდივიდუალური აუდიტორი „ლია ცუცქირიძე“-ის N50/05-1 აუდიტორული დასკვნის და ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის, მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის სამსახურის უფროსის მ/შ მოხსენებითი შესაბამისად

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამში საკანალიზაციო ქსელის მოწყობის აუცილებლობიდან გამომდინარე გაფორმდეს აღნაგობის ხელშეკრულება, ხაშურის მუნიციპალიტეტსა და მოქალაქე ნათელა დავითიანის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე, მდებარე დაბა სურამში ნინოშვილის ქ. N 21-ში.
2. განკარგულება ეცნობოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
3. განკარგულება ეცნობოს მოქალაქე ნათელა დავითიანს
4. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე;
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დადგენილი წესით ერთი თვის ვადაში ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, მ.კოსტავას ქ. N15)

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით ლომიძე